**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით | . . | 10 მ. — კ. |
| 11 ,, | . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 ,, | . . | 8 ,, 75 ,, |
| 8 ,, | . . | 8 ,, — ,, |
| 9 ,, | . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 ,, | . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 ,, | . . | 6 ,, — ,, |
| 5 ,, | . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 ,, | . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 ,, | . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 ,, | . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 ,, | . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 53　ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი　№ 53

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს 5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



## რედაქციისაგან

პირველ მარტიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ვერია" ჰღირს 8 მან. 75 კაპ.

---

ამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაჩი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.

---

**როინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იჯარით აქვიდამ

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილ საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**


**ექიმთა, ადვოკატთა და სხვა ხელობის პირთა საყურადღებოდ.**

„ივერიის" რედაქცია ამით აცხადებს, რომ საზოგადოების მოთხოვნილებისა გამო, საჭიროდ სცნო ჰბეჭდოს ხოლმე ამა თუ იმ ხელობის კაცთა ადრესები. ამიტომ, აარსებს რა გაზეთ „ივერიაში" ამგვარ განყოფილებას, აუწყებს მსურველთ, რომ მათ ყოველ დღე შეუძლიანთ, — დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, მიჰმართონ რედაქციას და შეატყობინონ თავიანთი ხელობა და ადრესი. თითო ადრესის ბეჭდვა ამ წლის განმავლობაში ეღირება მხოლოდ **ხუთი მანეთი** (5 მან.).

---

იმპერიის საგუბერნიო სათავად-აზნაურო საკრებულონი შეერთდნენ ომში დაჭრილთა, მოკლულთა და მათ ოჯახთა დასახმარებლად. ამ აზრით გამართულ იქმნა საყოველთაო, წოდება-განურჩეველი ხელის მოწერა შემოწირულებათა მისაღებად. შემოწირულება მიიღება ფულად და ნივთებად. საქმის მოწყობა მიენდო მთავარ-კომიტეტს მოსკოვში. კომიტეტის თავსმჯდომარედ არის მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი პ. ნ. ტრუბეცკოი. კომიტეტში მონაწილეობას იღებენ ნდობა-მოსილნი კაცნი, ამორჩეულნი თითოეულ გუბერნიის თავად-აზნაურობის-მიერ.

ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საკრებულომაც გადასდო ამ საქმისათვის უკვე ცნობილი რაოდენობა ფულისა და ჰზრუნავს ახლა, მოამზადოს ისეთი ნივთები, რომელიც საჭიროა ქსენონთა და სამხედრო სამკურნალოთათვის.

ნება-ყოფლობითის შემოწირულებათა მისაღებად და დასამზადებელ ნივთთა მასალის შესაძენად შედგენილ იქმნა კომიტეტი გენერალ-მაიორის თ-დის ივანე სულხანის-ძის ჭავჭავაძის თავსმჯდომარეობით. წევრად იქმნენ არჩეულნი: თ-დი დემ. გ. ჯანდიერი, გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი, გ. ს. განძიელი და დ. ზ. სარაჯიშვილი.

იმ ქალებს, რომლებსაც სურვილი აქვთ ნივთების დამზადებაში პირადის შრომით მონაწილეობა მიიღონ, სთხოვენ მიჰმართონ ქალთა კომიტეტის სახელოსნოს (გრიბოედოვის ქუჩა, სახლი კნ. ქობულაშვილისა) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

შეწირულებანი მიიღება მხოლოდ თავსმჯდომარის და კომიტეტის წევრთა მიერ.

თავსმჯდომარე კომიტეტისა, თ. ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძე, მიიღებს შემოწირულებასა და იმათაც, ვისაც მასთან საქმე ექნება, ყოველ-დღე 10—12 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბითობით და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

თ. დ. გ. ჯანდიერი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი მიიღებს ყოველ დღე 10 3 საათამდე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გ. ს. განძიელი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე სამეურნეო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1 - 2 საათამდე.

დ. ზ. სარაჯიშვილი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის კანტორაში (ოლგის ქუჩა), ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

(30—6.—3).


გამგეობა ზუგდიდის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა ამით აცნობებს ბ-ნთ წევრთ, რომ ოთხშაბათს, 31 მარტს ამა 1904 წლისას, დილის ათ საათზედ, საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში დანიშნულია საზოგადო წლიური კრება წევრებისა.

**განსახილველი საგნები:**

1) განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა საზოგადოების ოპერაციებზედ წარსულის 1903 წლის განმავლობაში.
2) ხარჯთ-აღრიცხვა ამა მდგომარე 1904 წლისა.
3) არჩევნები გამავალთა სამაგიეროდ საბჭოს ორის დეპუტატებისა, გამგეობის ერთის წევრისა, წლიურის ანგარიშების შემმოწმებელ კომისიისა, სამის წევრისა და სამის ამათის კანდიდატებისა, წესდების მე-44, 53 და 70 პარაგრაფების თანახმად.

წესდების § 37 ძალით, თითოეულ საზოგადოების წევრთაგანს შეუძლიან იქონიოს მხოლოდ ორი ხმა, ერთი თვისი და მეორე ვექილობის ძალით.

ხმის უფლება გადაეცემა საზოგადოების გამგეობის სახელზედ შემოტანილი უბრალო წერილის ძალით, კრებამდის სამი დღით წინ.

ზუგდიდის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარე არეფა დგებუაძე.
დირექტორი ნესტორ ელიავა.
(3—6.—2)

---

**ფოთის სამარხის კასის**

## გამგეობა

აუწყებს ბ-ნთ წევრთ, რომ კვირას, ამა წლის 7 მარტს, ფოთის ქალაქის გამგეობაში დანიშნულია

## საზოგადო კრება

კასის წევრთა, რომელმაც უნდა განიხილოს ანგარიში 1903 წლისა, აირჩიოს თანამდებობის კაცნი, განიხილოს საქმე გამგეობის წევრთათვის გასამრჯელოს დანიშვნისა და მსჯელობა იქონიოს სარჩივრების შეახებ, რომ კასამ ფ-ული არ მისცა დასამარხად იმ წევრის ჭირისუფალთ, რომელმაც თავი მოიკლა.
(3—6—3)

---

პირველ თებერვლიდგან 1904 წლიდან

**დიდუბეში,**

გორის ქუჩაზედ, გაიმართა ახალი

**ფოტოგრაფია**

## „რემბრანდტი"

იღებს ყოველგვარ ფოტოგრაფიულ სამუშაოს ძალიან იაფად.
3—3

---

იოსებ იმედაშვილისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, «ცხოვრების სარკის» (პიესების კრებულის) მე-III ნაწილის ბეჭდვა შეჩერებულია; დროებით შეჩერებულია აგრეთვე «უცხო სიტყვათა ლექსიკონის» ბეჭდვაც. წიგნის ბეჭდვა თავის დროზე დაუყოვნებლივ დაიწყება და საჩქაროდ დამთავრდება. ვინც «ცხოვრების სარკეს» ეხლავე დაიგვითს, მანეთად დაეთმობა, მერე-კი მეტი ეღირება.

Книжный магазинъ, Гергіевская ул., домъ Арджеванидзе.
Аннѣ Николаевнѣ Имедашвили.
ანნა იმედაშვილისა.
(5—უ.—3)

---

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**
აკაკისა
ფასი 1 მანათი.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ვორონცოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

**ბაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე**—მიხეილოვის პროსპექტი, № 123.

---

**ექიმი**

## ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.
**ა. ნ. დიასამიძე.** 11 -12 საათ.
**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.
**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
**ვ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.
**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.
**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისდა ელექტროტერაპია 12—1 ს.
ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.
**გრ. ვ. სოზოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.
**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)
46—8　　ტელეფონი № 274

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
**მ. გ. აპეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.
**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.
**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.
**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია
**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.
ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.


---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

დარის ცვლილება პორტ-არტურის მიდამოში.—ინგლისის სამხედრო აგენტები.—მეფე ვილჰელმის დეპეშა ჩინელ გუბერნატორთან. —ვინ ჩაერევა ომში?—გარდასახადის მომატება იაპონიაში.—ვიცე ადმირალ ვირენიუსის ესკადრა.—რა დაუჯდა იაპონიას ვლადივოსტოკის დაცემა. ახლო აღმოსავლეთი.

ერთი მეზღვაური, რომელიც შორეულ აღმოსავლეთის ზღვებზე დიდხანს ყოფილა, იუწყება, რომ პორტ-არტურთან ამ დროს ასეთი დარი იცისო: მცირე ყინვა და ქარი ჩრდილოეთის მხრივ; ხანდახან ქარი გაძლიერდება და ზღვას აღელვებს; თუ რომ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ-დასავლეთიდგან დაჰბერაო, თოვლი მოჰყვება, ნამქერი გაჩნდება და სუსხს ყინვას დაიჭერს. მარტის ნახევრიდგან სითბო მატულობს და ტერმომეტრი ცოტად აიწევს; თუ რომ სამხრეთის ნიავი არ გაჩნდა, არემარე ბურუსით შეიმოსება. აპრილში კარგი, ხოლო ხანდისხან ნისლიანი, დარი იცის. მაისიდგან, შესაძლოა, სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარიშხალი გაჩნდეს და ზღვა კვალად აღელვოს. ამისთანა ღელვა იყო 1898 წელს, ჩინეთის კრეისერი რომ დაიღუპა პორტ-არტურთან. რაც შეეხება ვლადივოსტოკს, იქაური ჰავა უფრო კარგად არის შესწავლილი და დარი დრო-გამოშვებით იცვლება. ამ დროს დარი ძალიან ცვალებადია, ტერმომეტრი 1 გრადუსიდგან 15 გრადუსამდე იწევს. მარტის შუა ანუ აპრილის პირველ რიცხვებში ნავთსადგურზე ყინული დნება. ივნისის ნახევრამდე და თითქმის გასვლამდის შავი ბურუსი იცის, თუმცა ხანდისხან საღამოობით ცა იწმინდება. («რუს»).

—

ინგლისელები თავისს სამხედრო აგენტებსა ჰგზავნიან იაპონიაში, რომელნიც გაჰყვებიან ომის ველზე. გენერალ-ლეიტენანტი ვილიამ ნიკოლსონი, სამხედრო მზვერავ განყოფილების გენერალ-დირექტორი და პოლკის უფროსი გოლდენი გამგზავრებულან კიდეც კანადაზე, საიდგანაც გაიყოლებენ არტილერიის კაპიტანს ტეკერს. («ნოვოსტი»).

—

გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს, გაუგია თუ არა, რომ შანტუნგის ახლად გაყვანილს რკინის გზაზედ მიმოსვლა დაწყებულა, დეპეშით მიულოცნია რკინის გზის დირექციისა და შანტუნგის გუბერნატორისათვის:

«მივიღე-რა ცნობა, რომ ცინანფუს მისულა რკინის გზის პირველი მატარებელი, გილოცავთ ამ სასიამოვნო მოვლენას, რომელიც გააბედნიერებს თქვენდამი რწმუნებულს პროვინციას».

გუბერნატორს ჩოუფუს უპასუხნია:

«გულითადს მადლობას მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას დეპეშით მოლოცვისათვის. რკინის გზა გაყვანილია ცინანფუმდე ორთავ ქვეყნის ვაჭრობის საკეთილოდ. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ გერმანელთა და ჩინელთა მეგობრობა მარად შეურყეველი იქნება და თანდათან უფრო განმტკიცდება, და ჩინელ-გერმანელი ვაჭრები თანხმობით იმოქმედებენ. მე დავეხმარები სრულის ჩემის ღონით და ვეცდები, თქვენის უდიდებულესობის იმედები განახორციელონ. შანტუნგის პროვინციაში მშვიდობიანობაა. გისურვებ, თქვენ უდიდებულესობავ, ჯანმრთელად ბრძანდებოდეთ და დიდხანს იცოცხლოთ. (იქვე).

—

გერმანიის დიპლომატია დიდის დაკვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვებით ადევნებს თვალყურს საფრანგეთსა და ინგლისის მოქმედებას, ბჭობას, მზადებას, მღელვარებასა თუ სიწყნარეს და იმ აზრს ადგია, რომ საფრანგეთი და ინგლისი საქმეში არ ჩაერევიანო. უფრო საფიქრებელია, რომ ამერიკა და ჩინეთი მიემხრობიან იაპონიას. ჩინეთი საეჭვოდ მოქმედობს და თუ რუსეთის წინააღმდეგ ხელი გამოიღო, მაშინ მთელს ევროპას გადაიკიდებს, რადგან «მოკრივენი» ყველა უცხოელთ თანაბრად მტრობენ. იაპონელების მიყუჩება იმით აიხსნება, რომ ამ ჟამად ჯარი გადაჰყავთ, რადგან დარწმუნდნენ, პორტ-არტურის აღება ისე ადვილი არ არის, როგორც ეგონათო. («ნ. ვ.»).

—

იაპონიის სამინისტრო აპირებს ამ დღეებში წარუდგინოს პარლამენტს სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და სთხოვს ზოგ გარდასახადთა მომატება და ზოგისაც ახლად შემოღება. სულ უნდა მოუმატონ ომის საჭიროებისათვის 70,000,000 იენი. გარდასახადი მოემატება უმთავრესად სპირტსა და თამბაქოს. («ნოვ.»).

—

რუსეთის ნაღმიანი გემი სუეცის არხში დასჯახებია ეგვიპტის საბაჟო გემს, რომელიც მაშინვე დაღუპულა. ამის გამო რუსეთის გემი არხში 24 საათს გაუჩერებიათ.

პორტ-საიდში მისულა ხუთი ნაღმიანი გემი და იქიდგან ხმელთა შუა ზღვისაკენ წასულა სამი ნაღმიანი გემიც უკან დაბრუნებულა, რადგან გზაზე ღელვა ყოფილა და გემები ცოტად დაუზიანებია. სუყველას გამოუცხადეს, რომ საჩქაროდ ნავთსადგური მიატოვონ; ქვა-ნახშირის წაღების ნება არავის მისცეს.

ლონდონიდგან იუწყებიან, ვიცე-ადმირალმა ვირენიუსმა პეტერბურგიდგან ბრძანება მიიღო, ივნისამდე ზღვაზე დარჩეს, ვიდრე ბალტიის ზღვის ესკადრა მოვიდოდეს; და მხოლოდ მაშინ წავიდეს შორეულ აღმოსავლეთისკენაო.

ერთი ნაღმიანი გემი ალჟირში დარჩება. კრეისერი «დიმიტრი დონსკოი» პორტ-საიდში მისულა, ამბობენ ისიც ცოტად დაზიანებულიაო. („რ. ვ.“).

—

იაპონიას დიდი დიპლომატიური შეცდომა მოუვიდაო,—ამბობს «ნოვ. ვრ.» — რომ კორეის ნეიტრალიტეტი დაარღვიაო. იმას რომ მხოლოდ მანჯურიასა და ზღვაზე ემოქმედნა, მაშინ ომი დიდხანს გასტანდა, ეხლა კი გზა გაგვიხსნა და ნება მოგვცა კორეას შევესიოთ ფუზანამდე და იაპონელები გავირეკოთო.

—

იგივე გაზეთი დასცინის იაპონიას: თავისი ფლოტი ვლადივოსტოკს მხოლოდ იმისთვის გაჰგზავნა, რომ გაზეთებისთვის მასალა მიეცა და ტოკიოში ეყვირნათ— ვლადივოსტოკზე იერიში მივიტანეთო. იანგარიშონ მაინც, რა დაუჯდათ ომიანობის დეპეშები, რომლებიც ქვეყანა უნდა მოსდონო. სულ 200 ტყვია გაუსროლიათ. თითო სროლა, თვით ზარბაზნის გაცვეთაც რომ ვიანგარიშოთ, 3,000 მანათი ღირს, 200 სროლა-კი ნახევარ მილიონ მანათზე მეტს დასწვავდაო.

ახლო-აღმოსავლეთი.

თუმცა ხონთქარს ოსმალეთ-ბულგარიის ხელშეკრულობა დაუმტკიცებია, მაგრამ ოსმალეთი მაინც საომრად ემზადება თურმე. მეტადრე დიდი ყურადღება მიაქციეს ფლოტს, რომელიც ძალიან ცუდს მდგომარეობაშია. როგორც „რ. ვ.“ ატყობინებენ, ოქროს მთასთან ბევრი სამხედრო გემია გაჩერებული, ხოლო მათგან ძალიან ცოტას შეუძლიან შორს წასვლა, თუმცა ზოგი ახალის სისტემისააო. საერთაშორისო საქმეთა გამწვავების გამო, ოქროს რქასთან დიდი მოძრაობაა. ორსა თუ სამს ძველ გემს ანსელმოს ნავთსადგურში ანახლეჲენ. ნაღმიანი გემები საომრად მზადდება. ამათ გარდა, ორს ახალ ნაღმიან გემს მოელიან, «ჰამიდიეს», რომელიც ინგლისიდგან უნდა მოვიდეს, და „მეჯიდიეს“—ფილადელფიიდგან. როდესაც ყველა ეს გემები თავს მოიყრიან, მაშინ-კი ოსმალეთს საკმაოდ ძლიერი ფლოტი ექმნება—ოთხი თუ ხუთი დიდი სამხედრო გემი და მრავალი ნაღმიანი გემი. თუ ვინიცობაა, ოსმალეთს ბულგარიასთან მოუხდა ომი, ეს ფლოტი თავისუფლად შეივლის შავს ზღვაში და ბულგარიის ნაპირს არა დაუშლის-რა ჯარის გადასხმას. («პ. ვ.»)

# ტფილისი

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: «შარშან, 20 დეკემბერს, ტფილისელ მკერვალის ელიაროვისაგან სადღაც წავიდა 12 წლის ბავშვი, ესტატე ნიკოლოზის ძე ბოჯგუა, რომელიც ელიაროვთან შეგირდად იყო. მას აქეთ ბავშვი არ აღმოჩენილა; მისმა მშობლებმა ეხლა გაიგეს ბავშვის დაკარგვა და გაფაციცებით ეძებენ; ვთხოვთ ყველას, ვინც კი შეხვდეს ბავშვს, მოიყვანოს შემდეგს ადრესზედ: თხინვალის ქუჩაზე, ტოროშელიძის სახლი, № 11, ციციკო ცაბურიასთან, რაზედაც დიდად და დიდად მადლობელნი დავრჩებით. ბავშვის ნიშნები: 12 წლისაა, პატარა პირისახისა, წაბლის ფერი თმა აქვს, სახელად ესტატე ჰქვიან, გვარად—ბოჯგუა, მეგრელია, არც შავის შეხედულობისა და არც თეთრისა, შავი თვალ-წარბი აქვს და პატარა ტანისაა». გუშინდელს ნომერში ეს ამბავი სავსებით არ გვქონდა აღნიშნული.

*** დღეიდან კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოება სოფლელთა შორის დაარიგებს სამკურნალო-ჰიგიენურ ბროშურებს, რომელიც მრავლად დაჰბეჭდა. დარიგებანი რუსულ-ქართულსა და სომხურს ენებზეა დაბეჭდილი.

*** ტფილისიდან 4 მკურნალი იგზავნება შორეულს აღმოსავლეთში. დღემდე მთელის კავკასიიდან 12 მკურნალი წავიდა.

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას საფრანგეთიდან დიდძალი ამერიკული ვაზი გამოუწერია. ეს ვაზი საზოგადოებისთვის შეუკვეთნია დ. ზ. სარაჯიშვილს, რომელიც ყვირილაში ვენახს აშენებს.

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ერთს ნაწილს ამ დღეებში კრება ჰქონდა. კრებამ გარდასწყვიტა, წინადადება მივცეთ საბჭოს, რომ წელს ქალაქში ორი ახალი პირველ-დაწყებითი სკოლა დააარსოს. ხმოსანნი იმ აზრისანი არიან, რომ უთუოდ საჭიროა ყოველ წლივ ორი ასეთი სკოლა მოემატოს ქალაქს.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს წარსულის წლის განმავლობაში 360 ათასი მანეთი წმინდა მოგება დარჩენია. ბანკის რწმუნებულთა კრების დანიშვნას აპრილისათვის აპირებენ.

*** ამას წინად ნაძალადევის ზოგიერთმა მცხოვრებმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, ნება მოგვეცით გამოვისყიდოთ ქალაქის ადგილები, რომელიც იჯარით გვაქვს აღებულიო. ქალაქის გამგეობას ეს თხოვნა აქამდე არ განუხილავს. გუბერნატორმა წინადადება მისცა გამგეობას, დააჩქარეთ ამ საგნის განხილვაო.

*** დღეს, 26 თებერვალს, კრება აქვთ იმ ქალთა, რომელნიც შორეულს აღმოსავლეთში დაჭრილ მეომართა და დაობლებულ ოჯახობისათვის შემწეობის აღმოსაჩენად შეწირულებას აგროვებენ. კრება ტფილისის გუბერნატორის მეუღლის სადგომშია დანიშნული.

*** 26 თებერვალს ტფილისის «კრუჟოკში» წარმოდგენა გაიმართა. მთელი შესოსავალი, 158 მანეთი, რუსეთის სამხედრო სამხედრო საჭიროებისათვის გადაიდო.

*** თვალის სამკურნალოში დიდძალი ბავშვები მიჰყავთ, ასე რომ მკურნალნი ბავშვების გასინჯვას ვერ ასწრობენ. აზრადა აქვთ, ამ სამკურნალოში ექიმთა რიცხვს მოუმატონ და, ამას გარდა, შენობაც გააფართოვონ.

*** მადათოვის კუნძულზე, ნიკოლოზის ხიდის მახლობლად, მდებარეობს მიწა, რომელზედაც დავა აქვთ ქალაქსა და კერძო კაცებს. ხმოსანმა კოჟინმა მოხსენება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, აირჩიეთ საგანგებო კომისია და დაავალეთ იმის გაგება, თუ ვის ეკუთვნის ეს მიწებიო. ხმოსანი კოჟინი ურჩევს გამგეობას, ძალიან კარგი იქნება, ამ ადგილას ქალაქმა კიდევ სხვა მიწებიც შეიძინოს კერძო კაცებისაგან და ბაღი ააშენოსო. ამ მოხსენებას ქალაქის გამგეობა ჯერ თვითონ განიხილავს და შემდეგ საბჭოს წარუდგენს განსახილველად.

*** სომხების დედათა საქველ-მოქმედო საზოგადოებას 14 მარტს კრება ექნება. კრება, სხვათა შორის, 1903 წლის ანგარიშს განიხილავს.

*** დღეს ქალაქის გამგეობის სადგომში კოჯორის მამასახლისის არჩევნია დანიშნული.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის წარმომადგენლად ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა კრებაზე დაუნიშნავთ ინჟ. ვოლკოვი.

*** განჯიდგან სწერენ «ნოვოე ობოზრენიე»-ს: ცნობილი ყაჩაღი დალიალია ისევ დათარეშობს. 21 თებერვალს დალი-ალია თავისის ექვსის ამხანაგით მივიდა სოფელ ყარა-სუში და შევიდა ერთის გლეხის სახლში, სადაც ამ დროს მამასახლისი, მწერალი და ოთხი დარაჯი სადილობდნენ. ყაჩაღებმა იარაღი ახსნეს ყველას და ხელები შეუკრეს უკან. ხელებ-შეკრულები გაირეკეს სოფელ მოგუზალირში, სადაც მამასახლისის სახლთან მთელი სოფელი შეაგროვეს. აქ ყაჩაღებმა ცემა და დაცინვა დაუწყეს ხელ-შეკრულთ. უმთავრესი ყურადღება მიაქციეს მამასახლისს, რომელსაც ჯაჭვი ჩამოხსნეს და სოფლის სამმართველოს ბეჭედიც წაართვეს. როდესაც დიდხანს იოხუნჯეს ხელ-შეკრულებზე, ყაჩაღებმა უბრძანეს მამასახლისს, წადი მაზრის უფროსთან და უთხარი, რომ დალია-ალისა და მისს ამხანაგთ შენისთანა მამასახლისი არ უნდათო. ჯაჭვი და ბეჭედი მწერალს გადასცეს. დალი-ალია გაჯავრებული ყოფილა თურმე იმის გამო, რომ მამასახლისს ერთხელ უცდია იმის დაჭერა.

*** ხვალ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრებაა დანიშნული.

*** ტფილისიდგან და სხვა ქალაქებიდგან სტავროპოლის სატუსაღოში პატიმართა გაგზავნა შეჩერებულია ამ ჟამად, რადგან იქაურ ტუსაღთა შორის სოფლე გაჩენილა.

*** ზემო კახეთისა და გორის მაზრის მცხოვრებთ, როგორც სააბრეშუმო სადგურის ცნობათაგან სჩანს, ბოლოს დროს მეაბრეშუმეობისათვის ხელი მოუკიდნიათ.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა 100 მანეთის წიგნები გაჰგზავნა კავკასიის დედათა საკვირაო სკოლის ბიბლიოთეკის შესავსებად.

*** უკანასკნელის კვირის განმავლობაში ტფილისში გადამდების სენით ცოტა ხალხი გამხდარა ავად.

# ჩვენებური ამბები

ს. დილიკაური. (შორაპნის მაზრა). დილიკაური დ. ზესტაფონიდან ოთხს ვერსის მანძილზეა, ოთასს კომლზედ მეტი მცხოვრებია: თავადი აზნაური და გლეხი.

თავი და თავი საქმე აქაურებისათვის არის მამამულის (ვენახის) კეთება. ღვინო ბევრი მოსდით და კარგის ხარისხისა. ზოგიერთნი მცხოვრებნი ვაჭრობაში არიან. მიაქვთ ამ სოფლის ღვინო ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეს და იმას იქითაც (რუსეთში) და კაი ფასად ასაღებენ. საპალნე, ე. ი. თვრამეტი ჩაფი (ჩაფი საწყაოა, რომელიც წონით ერთ ფუთს უდრის) აქაურის ღვინისა 40—45 მანათამდის ფასობს აქავე. ბევრნი არიან იმისთანა გლეხნი და აზნაურნი, რომ ოცს საპალნეზედ მეტს ჰყიდიან.

ვაჭრობის გარდა ეტანებიან კიდევ კალატოზობას და კარგ ქირასაც იღებენ, რადგანაც სამუშევარი ჭიათურის რკინის გზაზედ ბლომად იშოვება.

სწავლის სურვილი რომ ძალიან აქვთ აქაურებს, ამას იმითაც დაინახავთ, რომ აქაურები შვილებს მოსამზადებლად საქალაქო სასწავლებლისათვის ორას მანეთს და მეტსაც იხდიან.

ყოველ დილას შეჰხვდებით მოსამზადებლად მოსიარულე 8—9 წლის ბავშვს, რომელმაც ოთხი ვერსი უსათუოდ უნდა გაიაროს, თორემ სკოლაში სწავლას ვერ მოასწრებს თავისს დროზედ. თუმცა ამ სოფლებში არის სკოლები, მაგრამ ამ საქმეში ვერ შველის მათ და მოსალოდნელი ნაყოფი ვერ მოუტანიათ. ვისი ბრალია?.. ქართული ანდაზაა: «რაც არ დაწვება, რა ადგება», და მეორე—«ბუისაგან ნუ მოელი ბოლო-კარკაზის ბუდესაო».

გაზეთში ეწერა, «დილიკაურს ახლა ედირსა მქადაგებელი და მგალობელი მასწავლებე-

---

# ფელეტონი

## შურდული

(საკვირაო გაზეთი)

წელიწადი მეორე

№ 9.

### ნატვრები.

გაზაფხული შემოადგა,
მოაშუქა თბილი სხივი.
ზამთარმა-კი დაიხია,
შეამოკლა ღამე ცივი.
დედა-მიწა ძველებურად
ეგებება მზისა სხივებს.
მას გაათბობს გაზაფხული,
რასაც ზამთარი გააცივებს.
ალჰყვავდება მთა და ბარი,
გაიღვიძებს აწ მძინარე.
ვაშა-ვაშას შემოსძახებს
მხიარულად არე-მარე.
მე-კი, ბედკრულს, არ მახარებს
მხოლოდ მთა-ბრის აყვავება.
ჩემი სატრფო სულ სხვა არის...
სულ სხვა რამე მენატრება.
მას ვუყურებ, მას მოველი,
მისი ნახვა ამაყვავებს;
მარტო იგი მანუგეშებს
მარტო იგი გამახარებს!!

კორტოხა.

—

### უმანკო.

ღამეა... ღამის გუშაგი
შუქსა ჰფენს არე-მარესა,
ეალერსება ბუნებას
ათასფრად მოელვარესა.
ქალაქს არ სძინავს, ქუჩებში
ხალხი ჰმოძრაობს, ტრიალებს...
აქ ჩხუბი არის, იქ—ლხინი...
ეტლი ეტლს მისდევს, გრიალებს...
აგერ, ქოხის წინ ლამაზი
ზის შალში გამოხვეული
და მუშტარს უცდის, რომ ფულზე
გაჰყიდოს თვისი სხეული.
თან ჰფიქრობს: «რა ვარ ახლა მე?
რა არის ჩემი სახელი?
უზნეოს, გარყვნილს მიწოდებს
ყოველი ჩემი მნახველი.
არა, «უზნეო», «გარყვნილი»,
მე-კი არა ვარ,—ის არი,
აგერ რომ ქალი სეირნობს
თვალ-მარგალიტში ჩამჯდარი,
რომელსაც თითქმის ჩიტის რძეც,
თუ-კი სურს, მოეპოვება,
მაგრამ ქმარს მაინც ჰღალატობს
და სხვებსა ეტრფიალება,
დიაღ, ის!.. მასთან ის კაციც,
ადამიანად ცნობილი,
სახით ღვთის მსგავსი, ხატება,
საქმით-კი - გველის ძმობილი,
რომელიც მუდამ მას სცდილობს—
ყოველი ქალი ხელთ იგდოს,
მოჰპაროს თვისი საუნჯე,
ნამუს-ახდილი დააგდოს!..
მე-კი მსხვერპლი ვარ შიმშილის,
გაჭირვებისგან ვნებული
და კაცისაგან საზიზღრად
შეცდენილ-მოტყუებული»!...
და თან გამვლელს და გამომვლელს
იწვევს და ეპატიჟება,
თუმც კაცის ნახვა ზიზღსა ჰგვრის,
შურის-ძიებით ივსება...
მაგრამ, ეჰ, რა ჰქნას, როცა სხვა
ღონე არ მოეპოვება,
ამაღამ თუ არ იშოვა,
ხვალე შიმშილით მოკვდება!

ვ. რუხაძე.

—

### მდივანბეგის მონოლოგი.

რაღაც მოუჩმახავს ვიღაც სკვინჩას... მდივანბეგიო, პატარა «უსიკებიო», განათლებული კაციო... პორტრეტია ჩემი, და ვინ იქნება ჩემი მცნობი, წაიკითხოს და, «ეს ხომ ჩვენი მდივანბეგიაო», —არ დაიყვიროს.

ნეტავ რა დავუშავე-მეთქ,—ვიფიქრე, და ერთი კვირა სულ იმის ფიქრში ვიყავ, ვინ უნდა იყოს, რომ ასე მლანძღავს, და ან რა დავუშავე-მეთქი? ისე გამიტაცა ამ ფიქრებმა, ისე მოიცვა მთელი ჩემი არსება, რომ იმ კვირია, ამას თქვენც შენიშნავდით, თავისებურ ნაპერწკალს ველარ აფრქვევდა ჩემი კალამი.

და რა-კი დავრწმუნდი, რომ არაფერი დამიშავებია და სრულიად უბრალოდ იღრინება ცოფიან ძაღლივით, იღრინება და თან იმალება, ოჰ, ნეტავ ქალად გავჩინე-მეთქი ღმერთს, ვინატრე! მოვდგებოდი და ელისაბედ ჩერქეზიშვილივით შევძახებდი: - «აიხსენ, თუ კაცი ხარ და ქუდი გხურავს, ნიღაბი! გამოაქვეყნე შენი გვარი და სახელი, შე მხდალო, შენა!..» დიაღ, ჩემს დღეში ქალობა არ მინატრია, ან რა სანატრელია?! და მაშინ კი ვინატრე ჩერქეზიშვილის წაბაძვით!

ბოლოს დამშვიდდა გული, დაცხრა გონება და პირად თუ არაფერი დამიშავებია, იქნება საზოგადოებრივს ჩემს მოღვაწეობას ემდურის-მეთქი,—ვიფიქრე. გადავსინჯე ჩემი მოკლე, მაგრამ ნაყოფიერი ცხოვრება და ვერა, ვერ მივხვდი გამოცანას.

მაშ ჩემს კალამს უკბენია?! ეს «უსიკი“ მომჭერით, ჩემი კოხტა „უსიკი», თუ ან სკვინჩას ვიცნობდე, ან ჩემს დღეში ხმა ამოეღოს მასზე ჩემს კალამს! მაინც გადმოვიღე ოქროს ვარაყით დაჭედილ ყდაში ჩასმული ჩემი „საუნჯე“, თავით ბოლომდე გადავიკითხე და ვერა ვიპოვნე-რა.

ავდექ და საზოგადოებას მივუგდე ყური: ვნახოთ – მყავს ვინმე მომდურავი, და ან რას მემდურიან-მეთქი. და წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, თურმე აქ-კი ყოფილიყო დამარხული ძაღ... უკაცრავად სკვინჩა! საზოგადოება თურმე ემდურის თავის მდივანბეგს და იცით, რას ემდურის? ვერც კი წარმოიდგენთ, მე რომ არ მოგახსენოთ. მომისმინეთ და გულახდილად მიბრძანეთ, თუ გონებით უბადრუკი არ ყოფილა ვიღაც სკვინჩაა, რომ ხალხის მითქმა-მოთქმას აჰყოლია და საგაზეთოდ გაუხდია რაღაც ჭორები.

არაფერს აკეთებენ და თავისს დანიშნულებას არაფრად ემსახურებიან, გარდა იმისა, რომ პროვინციიდგან საქმისათვის უხვად მოწოდებულს ფულს უნაყოფოდ ჰხარჯავენო... წიგნებს არა ჰბეჭდავენ, და თუ დაბეჭდეს რამე, თითონ ხელს არ გაანძრევენ, თვით ჯამაგირის მიმღები მდივანბეგიც-კი, და «რედაქციას» სხვას ანდობენ, იქნება ცალკე ჯილდოს გაცემითაც!.. კედლის კალენდარი რა არის, იმდენი ვერ უზრუნიათ, ისე შეაკვრევინონ, რომ კედელზედ დაკიდებული იმ წამსვე არ დაიფურცლოს და ძირს არ ჩამოცვივდესო... *) შემოწირული წიგნები და ხელნაწერები ისე უყრიათ, რომ არც-კი იციან რა აქვთ, და ჩვენი ცხოვრებისთვის საინტერესო ხელნაწერს ჩვენს წიგნთ-საცავში უცხონი ჰპოულობენო... კანცელარია სალაყბოდ გაუხდიათ და მდივანბეგი, განათლებული ყმაწვილი კაცი, თავმჯდომარეღაო!.. ლექსიკონი არა გვქონდა; ჩუბინაშვილის ლექსიკონს იმოდენი ნაკლი აქვს, რომ სრულიად უსარგებლო და უვარგისი არის; და იმის მაგივრად, რომ ცოტა ინიციატივა და საქმის ერთგულება გამოეჩინათ, მცოდნენი მოეწვიათ, ხეირიანი, მეცნიერულ ტერმინოლოგიით შევსებული ლექსიკონი შეედგინათ და მით ეროვნულ მწერლობის საფუძველი დაედოთ, ადგნენ და ყოვლად უცვლელად გადაჰბეჭდეს ჩუბინაშვილის ლექსიკონი! ფული ფულად გაჰფლანგეს და საქმით-კი ვერა გაარიგეს-რა, რადგან პურის მაგივრად სიპი ქვა მიაწოდეს საზოგადოებასაო... კარგად იცოდნენ, ე. კ—ს რომ იოტის ოდენიც არის ნდობა ჰქონოდა მათი, ლექსიკონის შედგენას კერძო კაცთ არ მიანდობდა. ეს პირველი, მაგრამ მეტის მეტად სასტიკი გაფთხილება იყო და თუ ასევე ემსახურნენ საქმეს, სრულიად დაჰკარგვენ იმ თანაგრძნობას, რომელზედაც დამყარებულია თვით საზოგადოების არსებობაო...

ეს სთქვეს და კიდევ მრავალი სხვა. მე, რასაკვირველია, იმდენად არ დავიმცირებ თავს, რომ ჭორებს ავყვე და მათი უსაფუძვლობა დავამტკიცო. რას ვემსახურებით ჩვენ, და კერძოდ მე, ამას მომავალი, პირუთვნელი და მიუდგომელი მომავალი, დაადგენს. ერთს ვიტყვი მხოლოდ: კანცელარია სალაყბოდ გაუხდიათო, ეგ ტყუილია! მტკნარი ტყუილი! სალაყბო იყო და არის! არის და კვლავაც უნდა იყოს, ვიდრე მე აქ ვიქნები, რადგან აქ, სალაყბოში, ჰკრებს ჩემი კალამი საჭირო მასალას. სალაყბოს მოშლა—მკითხველი საზოგადოების დაობლება იქნება, რადგან... იცით რა პუბლიცისტი დააკლდება საქართველოს?!

ისევ მე.

*) აკი გაიაფეს. შე დალოცვილო! თუ არა და, ერთი კარგი, სამ-ვერშოკიანი ლურსმანი და იმის ჯანი!

ასოთ-ამწყობი

—

### საშურდულო წერილი

(ვაჭრების საკუნტოსაგან)

ფოთი. დიდად პატივცემულო «შურდულის« რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი კარგი «შურდული» ცოტა ხნით მათხოვოთ, რომ უფრო ღონივრად ვსტყორცნო ქვა აქაურს სალაყბო ბანაკს, რათა განიბნენ ის უბედურნი, რამეთუ არა იციან, რასა სჩადიან!..

ბანაკი, რომელზედაც ეხლა თქვენის შურდულის წყალობით იერიში უნდა მივიტანო, შესდგება აქაურ უქმაძე ყმაწვილებისაგან, რომელნიც სხვებისაგან მით განირჩევიან, რომ მხარ მოტეხილ ინდაურებივით დაიარებიან; სახელად, რომლითაც ისინი აქაურებმა მონათლეს, ეწოდებათ «პლუტოკრატების დასი».

მათი სამოქმედო პროგრამაა: ცნობილ მოღვაწეების გაკილვა, პატივცემულ კაცთა წინააღმდეგ სამახსარო ლექსების ჯღაბნა და ქალაქის მკვიდრთა შორის გავრცელება, დამა-კავალრებთან უსახელო წერილების წერა, უცენზურო სურათებიან ღია ბარათების გზავნა და სხვა. რომ უფრო გააძლიეროს «პლუტოკრატების დასმა» სა-

ლი, რის გამოც ხალხი ბლომად დაიარება ეკკლესიაში ყოველ კვირა-უქმე დღეს და სტკბებიან თავიანთის შვილების გალობითო». ნეტავი მართლა ასე იყოს... ქადაგებასა და გალობას ვერ მოუსმია და კიდევაც გაუძლიერების: შფოთი, ჯაყალ-მაყალი, ჩხუბი და კაცის კვლა. აი რამდენიმე შემთხვევა ავ-კაცობისა ცოტა ხნის განმავლობაში:

დაბლა დილიკაურის ეკკლესიის მახლობლად, ჭავჭანიძეს აქვს სავაჭრო, რომელშიაც თვითონ ვაჭრობს და ამხანაგად ჰყავს კახიძე. ამას წინად კაპიძესა და აქაურს მიშველიძეს დაპარაკი მოუვიდათ და ჩქარა ჩხუბადაც გადაიქცა; ერთმანეთს რამდენჯერმე რევოლვერი ესროლეს, არ დაჭრილან, მაგრამ ჭავჭანიძესთან სტუმრად მყოფს, დიმიტრი მიშველიძის ცოლს, მოხვდა, რომელიც კარგა ხნის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა.

ამავე დუქანში, ამას წინად ჭავჭავანიძესა და ჭიჭინაძეს მოუვიდათ დაპარაკი და კიდევ რევოლვერის სროლა შეიქნა; ამ დროს ერთი საწყალი კაცი ყოფილიყო იქ და ის კინაღამ მოკლეს, მაგრამ, მადლობა ღმერთს, უბედურება არა მომხდარა. რომ იტყვიან, კვიმატს, სწორედ ეს დუქანია აშენებული კვიმატიან დღეს.

შარშან ოტიაშვილის ცოლმა, თავის ქმრის მოგვარე მეზობელს, მუცელში დანა ჩაჰკრა და სული გაათვრთხობინა.—ბიძაშვილებს, გვარად პერანიძეებს მოუვიდათ ერთმანეთში ლაპარაკი, რატომ ჩემს ადგილზედ გადაიარეო და ერთმა მეორეს წალდი დაჰკრა თავში და უდროოდ გამოასალმა წუთი-სოფელს.

უკანასკნელად, ამა წლის 9 თებერვალს, დაბლა დილიკაურში «საყეენოდ» დადიოდნენ. რაც იშოვეს, საღამოს უნდა გაეყოთ, მაგრამ გაყოფაზედ ლაპარაკი მოუვიდათ «გოზინაყზედ» და ქლიბაძემ ხანჯალი ჩაჰკრა პერანიძეს და საწყალი წელებ გადმოყრილი სახლში წაიყვანეს და მეორე დღეს, დიდის ტანჯვის შემდეგ, გარდაიცვალა.

თანაძმაი.

—

## რიონ გაღმის კუთხე.

უბედური შემთხვევა.—ცეცხლის გაჩენა.—ქურდების დაჭერა.—იარაღის ტარების მოსპობის შესახებ განცხადება.

სოფ. შუამთაში, 11 თებერვალს, შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა: აქაურ მცხოვრებს, დ. გომბერაძეს, ჰყავდა დაქირავებული მიწის გადასაბრუნებლად სამი სვანი, ლეჩხუმის მაზრის, სოფ. წვირმის საზოგადოების, მცხოვრებნი. როდესაც ხეს ძირი გამოუთხარეს, ერთი მათგანი, სახელდობრ გუან გიგლეშიანი, გავიდა ხეზედ და დაუწყო ხეს რხევა; ამ დროს მოულოდნელად ხე წაიქცა, თან ზევიდგან დაჰყვა, დაეცა მუცლით ხეს სვანი და მძიმედ დაშავდა; თუმცა ფერშალს მოუწოდეს და დახმარება აღმოუჩინეს, მაგრამ საბრალომ მესამე დღეს განუტევა სული. ამხანაგებმა მიაბარეს მიწას აქვე მიცვალებული, აიღეს მოწმობა მამასახლისისაგან და მიაშურეს თავისს სოფელს.

14 თებერვალს, ნაშუადამევის მეორე საათზე, ს. ტობანიერში გაუჩნდა ცეცხლი ი. ს. შარაშენიძის სამზარეულო სახლს და უთავლის საოჯახო მოწყობილებით დაიწვა; შიგ მოჰყვა ორი ხარი და ერთი მაკე ძროხა, რომლებიც საცოდავად დაიხრაკნენ; სამზარეულოს შემდეგ ცეცხლი გაუჩნდა საცხოვრებელ სახლს და ისიც დაიწვა. საცხოვრებელი სახლი-კი, როგორც იყო, გადაარჩინეს. ამბობენ, ცეცხლი მტრობით არის გაჩენილიო. ზარალი 600 მანეთამდეა. მეორე დღესვე მოვიდა სამტრედიის ბოქაული და შეადგინა ოქმი. გამოძიება სწარმოებს.

16 თებერვალს მუხაურის საზოგადოების მამასახლისმა ა. თევზაძემ შეჰნიშნა სოფლის განაპირას ოთხი ქვეითი უცნობი კაცი; მაშინვე გაჰყვა უკან, რათა ეკითხა ვინაობა. უცნობნი გაიქცნენ. მამასახლისი იასაულებით დაედევნა და ოთხივე დაიჭირა; წამოიყვანა სოფლის სამმართველოში, აღსნა რევოლვერები და დააპატიმრა. იმ დამესვე აცნობა სამტრედიის ბოქაულს, რომელიც მაშინვე მოვიდა დარაჯებით და დაპატიმრებულნი წაიყვანა. ისინი აღმოჩნდნენ გურულები, რომელებსაც თურმე კარგა ხანია, რაც დაეძებდა მთავრობა. ავაზაკებს თან ჰქონდათ ხურჯინი, რომელიც დევნის დროს სადღაც გადააგდეს ჭაობში. ისინი უსათუოდ იმ ღამეს უპირებდნენ ვისმე თავს დასხმას და გაძარცვას, მაგრამ უმტყუვნათ ბედმა.

ამავე თვის 21 ჩვენს კუთხეში მოვიდა ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნი ნ. შლოტგაუერი, რომელმაც ჩამოიარა თვითოეული საზოგადოება, შეჰკრიბა ხალხი და გამოუცხადა იარაღის ტარების მოსპობა პირველ მარტიდგან ამა წლისა.

ვლადო ბზვანელი.

—

**ხევსურეთი.** (თიანეთის მაზრა). ხევსურეთი მთლად განცალკევებული კუთხეა და თითქმის გამოიცხულია სხვა კავკასიის დასახლებულის ადგილებიდგან. ხევსურეთი მდებარეობს თიანეთიდგან ჩრდილოეთის მხარეს, მიმოსვლა ამ ქვეყანაში შეიძლება მხოლოდ ზაფხულობით; რვა თვის განმავლობაში ეს მხარე დაკეტილია მგზავრთათვის. ადგილ-მდებარეობა ძალიან მთიანია; თიანეთიდგან ხევსურეთამდის მიდის მარტო ერთი ბილიკი გზა, მდინარე არაგვის ხეობაში. მხოლოდ გამბედავი ხევსური ზამთარშიც გაჰბედავს ამ გზით გადმოსვლას და ამისთვის უსათუოდ უნდა გაიკეთოს ფეხზედ წრიაპები და ხელში კავიანი შუბი უნდა ეჭიროს. სოფლები მთის ფერდობზედ მდებარეობს ხეობებსა და ხრამებში ჯგუფ-ჯგუფად გაშენებული... თითო სოფელში ათი მოსახლიდგან ოცდათამდინაა და ათი-თორმეტი სოფელი ერთ საზოგადოებად ირიცხება. მთელს ხევსურეთში შვიდი საზოგადოებაა. ხევსურეთს სულ ექვსი გვარი აქვთ: ქინქარაული, გოგოჭური, გიგაური, არაბული, ალუდაური და უღაკაური; თითო გვარი თითო თემად განიყოფება.

მეურნეობა ხევსურეთში ძალიან ცუდს მდგომარეობაშია. ცივის ჰავის მიზეზით, აქ მხოლოდ ქერი მოდის და უმთავრესი ხალხის მაცხოვრებელი ეს არის. ვისაც ქერი ბლომად მოსდის, მდიდარ კაცად ითვლება. სახნავ-სათეს მიწებში კაცები ქალებზედ ნაკლებ მუშაობენ და საქონელშიაც ქალები დაიარებიან. კაცები-კი სამუშაოდ დადიან კახეთისაკენ და გაგაკში საჩხოს საშოვნელად. საქონელი ხევსურებს საჭიროებისდაკვარად ჰყავთ: თითო კომლს 2—10 სული მეწველი ძროხა და 10—20 სული ცხვარი. აქაური ძროხები ძალიან პატარა ტანისაა. ხევსურეთში მხოლოდ ჯორი ვარგობს თავისის ფთხილის საიარულის გამო და, ამატომაც, ხევსურეთში ჯორი ცხენზედ ერთი-ორად მეტად ფასობს.

მთებს აქვს სხვა-და-სხვა შეხედულობა. იშოვება რკინისა და სპილენძის მადნები. ზოგან არის ასპიტის ქვა და მშვენიერი მყავე წყლებიც.

მთელს ხევსურეთში, სადაც 1,300 სულზედ მეტი ხალხი ითვლება, არც ერთი დუქანი არ არის და თიანეთი მედუქნე-ჩარჩები დაიარებიან სავაჭროდ. ხევსურები ფულით არა ვაჭრობენ, საწყრილმანოზედ უცვლიან ყველს, გარეულ ნადირის ტყავებს, ერბოს და სხვ.

მთელი მხარე ხევსურეთისა მოფენილია ძველის მეფეების ციხეებითა და ეკკლესიებით. ზოგ მთაზედ სამი-ოთხი სალდარია. ხევსურებს მღვდლებზედ ძალიან უფრო ხევის ბერები სწამთ. ბევრნიც არიან და თითქმის თითო სოფელში თითო ხევის ბერი ჰყავთ. ეს ხევის ბერები საყდრებში თითონ ლოცულობენ და თითქმის სწირავენ და ლოცვებს ისე ურევენ რადაცა ლექსებსა და სიტყვებში, რომ მათი გამოთქმა და შინაარსის გაგება უცხოთათვის ძალიან ძნელია.

ხევსურებს სისხლის ძიება საშინლად სწამთ; მეზობლადა ჰყავთ ქისტები. მათ შორის უთაველს ჟამს უკმაყოფილება და უსიამოვნება სუფევს. აგრეთვე მეზობლებს შორის, სოფელსა და სოფელს შუა, საშინელი მტრობა იციან. მაგალითად: შარშან-წინ შატილელებმა და გუროელებმა ჩხუბში დაჰხოცეს 16 კაცი, შარშან კიდევ—ორი და, თუ მთავრობა ყურადღებას არ მიაქცევს, იქნება ერთმანეთიც ამოსწყვიტონ.

ხევსურეთში პირველ სოფლად ითვლება სოფ. ბარისახო, სადაც არსებობს პირველდაწყებითი სასწავლებელი, ბიბლიოთეკა, დაარსებული მღვ. ?. ხატიაშვილის მეცადინეობით.

დათიკო გოჯიაშვილი.

## ნარკვევი

ძრიელ შემცირებულა ბაქოს რაიონში ნავთის წარმოება და საშიშია, რომ ნავთის ნაკლებობამ დიდი სიძვირე არ გამოიწვიოს ნავთისაცა და ყოველ იმ სანათ და საწვავ მასალისაც, რომელიც ნავთის წარმოების დროს მზადდება.

სულ საჭიროა რუსეთისა და საზღვარგარეთისათვის მზადდებოდეს ნავთი 746 მილიონი ფუთი. გროზნის რაიონი იძლევა 30 მილიონ ფუთამდე. დანარჩენი 715—720 მილიონი უნდა მოამზადოს წელიწადში ბაქოს რაიონმა. არამცთუ მარტო მოამზადოს, არამედ გაიტანოს კიდეც ზღვითა და წყლით ბაზრებში, შინ და გარედ. საიდან მოახერხებს ამას, როდესაც წლითი-წლობით ბაქო თან-და-თან ნაკლებს რაოდენობას ამზადებს ნავთისას. 1901 წელს მოამზადა 672 მილიონი ფუთი, 1902 წელს 597 მილ.; იანვრის განმავლობაში ბაქომ მხოლოდ 45 მილიონი ფუთი შეიმუშავა. თუ ასე იარა ბაქომ, შემდეგს თვეებშიაც, წელს მხოლოდ 550 მილიონ ფუთს იშოვის. მივუმატოთ ამას თუნდ 100 მილიონიც, რომელიც შესაძლოა წინანდელი დამზადებ-ული ჰქონდეს ბაქოს. მაინც, სულ ცოტა, ას მილიონს ფუთს დაისაკლისებს საერთო ბაზარი შინა და გარედ.

გაზ. «ნოვ. ვრ.»-ა, საიდანაც ეს ცნობანი ამოვკრიბეთ, ამბობს, რომ მიზეზი ნავთის წარმოების შემცირებისა არის დიდი ბაჟი, რომელსაც ხაზინა იღებს იჯარით გაცემულ ნავთიან მამულებზედაო. მიზეზი ისიც არის კიდევ, რომ ბიბი-ეიბათის მამულის გაცემა საჯარო ვაჭრობით არ შესდგა, გადაიდოო.

ყოველ ამის გამო, ნავთი ძვირდება, მწარმოებელნი უფრო და უფრო გააძვირებენ და ხალხი დიდს გაჭირვებაში ჩავარდებაო. დიდს გაჭირვებაში ჩავარდება აგრედვე საფაბრიკო წარმოება, რომელიც დიდ-ძალ საწვავ და სანათს ნავთს ჰხარჯავს, აგრედვე ძვირად დაუჯდება ხაზინას ეს საჭირო მასალა, რადგან ხაზინას ყველაზედ მეტი საწვავი და სანათი უნდება.

ვოლგაზედ ეხლაც ნავთი ჰღირს 1 მ. 50 კ. ფუთი. სოფლებში ერთი-ორად ძვირია, ვიდრე წინად, ხალხი ნავთის სიძვირის გამო ან ძილში ატარებს დროს, ან უქმად არის და სცდება.

—

ედმონდ ტერი ამბობს, რომ იაპონელების აბუჩად აგდება დიდი შეცდომააო. მართალია, იაპონელებს ევროპიელნი არ უყვართ და აზიის ერთა გაძლიერების იდეით არიან აღფრთოვანებულნი, მაგრამ მაინც ამან არ დაუშალა იაპონელებს მტრების ბანაკში წასულიყვნენ, გულდამშვიდებით და თანდათანობით შეესწავლათ, რითიც არიან ძლიერნი მათნი მტერნი, მათი სამხედრო მოწყობილება, მათი თოფ-იარაღი, მათი ცხოვრებაში გამოსაყენებელი მეცნიერება და ხელოვნება, მანქანების კეთება და საფინანსო ოპერაციების წარმოების მექანიზმი.

იაპონელებსაო,—განაგრძობს ტერი,—არა მარტო წმაძაობისა, არამედ დიდი და უშრეტელი შემოქმედობითი ნიჭი აქვთ და მაღალი კულტურაც ჰქონდათ ჯერ ისევ მაშინ, როცა დღევანდელნი ევროპიელნი ბარბაროსნი იყვნენ. ეს იყო მიზეზი, რომ სულ მცირე ხანში იაპონელებმა გადაიღეს ევროპისაგან ყოველივე, რაც საჭირო იყო.

1896 წლიდან 1903 წლამდე, ესე იგი სულ 8 წლის განმავლობაში, იაპონელებმა დაჰხარჯეს თავიანთ ჯარისა და ფლოტისათვის 2 მილიარდ ფრანკზედ მეტი, ხოლო ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში გარეშე ვაჭრობა იაპონიისა ავიდა 459 მილიონიდან 1,367 მილიონამდე. სავაჭრო ფლოტი ჰქონდა ათის წლის წინად 16,564 ტონისა, ახლა აქვს 917868 ტონისა, რკინის გზის სიგრძე ერთი-ორად მეტია ახლა. მიმსვლელ-მომსვლელი იყო 28 მილ., ახლა—111 მილიონია.

ყოველივე ეს მოახერხეს საკუთარის ძალ-ღონით, საკუთარის თანხით, ევროპელების დაუხმარებლად. არც ერთს ქვეყანას დედამიწის ზურგზედ ამ ათს წელიწადში ასეთის წარმატებით არ უვლია წინ, არც ინგლისსა და არც ამერიკას. ჯერ ახლავე იაპონიას გააქვს საზღვარ-გარედ 435 მილიონ ფრანკის საქონელი.

ცხადია, რომ ამისთანა ხალხს, რომელსაც შეუძლიან ასეთი მოდგაწეობა, აბუჩად ვერ ავიგდებთ და ბარბაროსს ვერ ვუწოდებთ.

## წერილები რედაქციის მიმართ

I.

თქვენის პატივცემულ გაზეთის 48 ნომერში მოთავსებულია რეცენზია ქართველ

## დეპეშები

(„შურდულის“ დეპეშათა სააგენტოსაგან)

**კიევი.** პირვატ-დოცენტი გრენი 1 მარტიდან «ბოსიაკების» უნივერსიტეტში ლანძღვა-გინების პროფესორად დაუნიშნავთ. ამის ადგილზე პალმი გადმოდის. გრენი ლანძღვა-გინების წერას თავისს „როსსიაი აზიაში» ველარ შესძლებს და წერას პალმს მიანდობსო. ლანძღვა-გინებაზე ლექციების კითხვას ბზობის კვირაში შეუდგება პალმი. მსმენელებად დაუბარებია საცა-კი ვინმე გასალახანებულ-გარყვნილნი და ქვეყნის ნაძირალანი არიან. ტფილისელმა კინტოებმა გრენს უარი შეუთვალეს: ჩვენ მაგისთანა ტუტუცს ყურს არ დავუგდებთო.

**თელავი.** თელავის ბიბლიოთეკას ჭრილობა ურჩება, დანი სათნოებისანი არ სცილდებიან. სამარხს კასაში უნდა ჩაეწერათ, მაგრამ აღარ მიიღეს ჭრილობისა გამო.—დადგა გაზაფხული და ქალაქის «მამებმა» ნავები შეუკვეთეს ქუჩებში საცურავად. აღდგომისათვის ორის კრეისერისა და ერთის ნაღმოსნის შეძენას აპირებენ, რადგან ქუჩებში ტალახი იმატებს და შინაურ ღორებზე ნადირობა დასჭირდებათ.

**ხონი.** ხონის სასამართლომ გაამართლა აქაური «მევაზეთეები», ხოლო გამგეობის უფროს წევრს და ხაზინადარს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. მაგრამ არა გვჯერა—ხონი ამას ვერ გაბედავდა.

**ოზურგეთი.** აქაურ ახალ-გაზდობის ერთმა ნაწილმა შეადგინა დასი—«დროს გამტარებელნი».—დასი მშვენივრად მღერის მრავალს სიმღერებს, ჰყავს სამაგალითო გიტარისტები, შესწავლილი აქვთ «კომპლიმენტების» ყველა მუხლები, ჰყავთ აგრედვე საუცხოვო მოარშიყენი!

რედაქტორ-გამომცემელი ია ერაძე.

---

ლაყბო რედაქციის ადმინისტრაცია, რედაქტორად გურიიდგან ერთი მაჰახელიანი, რიჟა შლაპე ბიჭი, ცნობილი მაწანწალა, მოუწვევიათ. ამ ჰკუის კოლოფთან ერთად თანამშრომლებად ირიცხებიან: ანტონაკი, ბოლონაკი, გოგინაკი, გერმანაკი, ლადონაკი და აზნაური კოჭლაძე, ხოლო მათი ნაწარმოების გასავრცელებლად მიწვეულია ყველა აქაური ქონდრის კაცუნები.

მომავალში, თუ თქვენც დამეხმარებით, ბ-ნო რედაქტორო, და ამ შემთხვევაში ნეიტრალიტეტს არ დაიცავთ, ვეცდებით «პლუტოკრატების დასს» შურდული უფრო მწარედ ვჰკრათ.

აგენტი.

—

**სოფ. საგარეჯო.** განსვენებულს ივანე მუხრან-ბატონს უთხრა ერთმა, დაითხოვე ესა და ეს მოურავი, თორემ ძლიერ გასუქდაო; მუხრან-ბატონს უპასუხნია: «შე კაი კაცო! ეგ ძლივს გავასუქე და ეხლა მჭლე მოურავი რომ დავიყენო, ჩემი საცხოვრებელი არ ეყოფაო.

ამ მაგალითს მისდევენ: «ბორჩიკ» ანუაშვილს უანგარიშეს და გაფლანგული ფული საკმაოდ აღმოაჩნდა, მაგრამ მაინც ისევ ის ამოირჩიეს. აი სად გამოიყენეს გარეჯელებმა განსვენებულ მუხრან-ბატონის მაგალითი.

—

**სოფ. ქოდალო.** ისეთი გულკეთილი მწერალი გვყავს, რომ მამასახლისს ხელს არაფერში აძრევინებს და არც თავს ატკენს, მაგრამ... უკაცრავად, როცა «პახმელიადაა», მხოლოდ მაშინ-კი სტკივა ხოლმე თავი.

პიტა.

—

## ქუთაისის ამბები.

ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ ვერა ღონისძიებით ვერ მიიზიდა ხალხი ქართულ წარმოდგენებზე ქუთაისში. მიზეზი თურმე ისა ყოფილა, რომ გამგეობა ვერ მიმხვდარა ქუთათურთა გემოვნებასა და სურვილს.

ღმერთმა უშველოს ბ. პერვილის ცირკს, რომელმაც თვალები აუხილა და საოცარის მაგალითით აშკარად დაანახვა, რომ ქუთათურების მაღალ ხელოვნების იდეალი «ჭიდაობა» ყოფილა. აღტაცებული საზოგადოება ფიანდაზად ეფინება ფეხქვეშ «კულა გლდანელებს», «ცერაძეებს» და მსგავს «საოცარ კულტურის მოქადაგეთა გმირებს».

ეხლა-კი საზოგადოების გამგეობამ სიხარულით წამოიძახა: «ევრიკა!», ^და განიზრახა მომავალ წელს ისევ განაგრძოს, სეზონი მხოლოდ იმ პირობით, რომ ყოველ პიესის წარმოდგენის დასასრულ გაიმართოს «ჭიდაობა». თუ განთქმულნი ფალავნები: კულა გლდანელი და ცერაძე თანხმობას არ გამოაცხადებენ, იმ შემთხვევაში გამგეობა იძულებული შეიქნება გამოიყვანოს სცენაზედ საჭიდაოდ ჩვენი არტისტები.

იმედია, ქუთაისის საზოგადოება მაშინ მაინც გულგრილობას არ გამოიჩენს, ცირკში ჭიდაობას ჩვეული არის და ქართულს თეატრს არ დააკლდება.

საშა.

—

## ნარევ-ნაკვეს-გასართობი.

ვარამი

ღმერთმა იცის, ყველა სტყუის,
დიდიცა და პატარაცა,
მოსაგონად რად გაგვიხდა
ძველებური «აცა, მაცა». *)
რა კანონი, რა მსაჯული!
როგორ სწყვეტენ სამართალსა!
დამნაშავეს ამართლებენ,
ამტყუნებენ-კი მართალსა!
რომ გვგონია ყოვლად წმიდა,—
იუდაა თურმე იგი.
ყველაფერსა აქნევინებ,
თუ-კი იცი წესი, რიგი:
მიუგზავნე ბლომად ფული,
ან ლამაზი კატო, ნინო.
თუ-კი გინდა გაიმარჯვო
და ხა, ხა, ხა!—რომ იცინო.
სხვებზე რა ვსთქვა, როდესაც რომ
ექსპერტებიც თაღლითობენ...
ვაჰ, დროებავ! ვაჰ, მამულო!
რა კაცები როგორ გგმობენ?!

კარტოხა.

*) დავით დადიანის დროს მსაჯულთ-უხუცესად იყო თავადი როსტომ ჩიქოანი, რომელიც ყოველ საქმეზე „მაცა“-ს იტყოდა, სხვ. მსაჯულები ამბობდნენ—„აცას“, ე. ი. როსტომს აცადეთო.

—

## ქუთათური თავადის სიმღერა

თუ რამ მქონდა, დღეს აღარ მაქვს,
ბანკში დავაგირავე,
ჩემი ავლა-დიდება
თავქვე დავაყირავე.
კლუბში «ჩლენად» ჩამწერეს...
ხშირად დავბძანდებოდი,
«სტოს», «ვერტუშკას», «ჩერეზსა»,
მუდამ დღე ვთამაშობდი,
მიწას ფეხს არ ვადგამდი—
აბა, რად ვიკადრებდი?
ფაიტონი ხომ კია?
მეც მით «ვკატაობდი».
ფერმასა და ბალახვანას
ხშირ-ხშირ ვესტუმრებოდი,
მიყვარდა ძმა-ბიჭებიც
და მათთანა ვთვრებოდი.
არას ვგრძნობდი არას დროს;
ფულს ვხარჯავდი ოხრადა;
ასიან ასიგნაცებს
არ ვაგდებდი გროშადა.
ან-კი რად ჩავაგდებდი?
ტყულა, მუქთად ნაშოვარს,
უსასყიდლოდ შეძენილს
პაპისგან დანატოვარს.
რაზედაც ოფლს არ იწურავს
კაცი, ადამიშვილი,
მის არაფრად ჩააგდებს
უფრო თავადიშვილი.
და მეც იმ გუნდს ვეკუთვნი,
იმისგან ვარ შობილი;
დღეს უგროშ-კაპეიკო,
«კოტორხანად» შთომილი.

ბელაძე.

—

## ძნელი გამოცანა.

დაავგორეს საწნახელი,
შიგ ამოხტა სურებელი,
ილაკრიმ ჯარს დაუძახა,
აუშალა სალერღელი.
მემარჯვენედ ჰყავს გამყრელიძე,
ნოე ჩემობს მემარცხნობას,
პლანებს იღებს იოსები,
მტერს უქადის დამარცხებას.
ამ დიდებულ გმირთა გმირებს
მოვლენია ვიღაც «სკვინჩა»,
თითო ნისკარტს თავში ჩაჰკრავს,
ყველას თმაი აუქინჩა.
აპოლონი უნდა იყოს?!..
Такъ думаю Я... А Вы?
—«არა კაცო, ანტონია!
შენ რას ამბობ? «ახობოვი».
არც ერთი ვარ, არც მეორე;
თვით მე გეტყვით ამ ერთ თვეში,
მადლობა ღმერთს, თქვენი სახე
დაინახეთ ჩემ სარკეში.

„სკვინჩა“

—

## თეატრი და ხელოვნება.

ამ დღეებში ქართულ თეატრის არტისტებმა შემდეგი დეპეშა მიიღეს:

«საიქიო. ვემადლიერები იმ განხეთქილებას, რომელიც ჩავარდა პირველ და მეორე «სორტის» არტისტებს შორის, თორემ ჩემს «არსენას» წარმოდგენა თავის დღეში აღარ ელირსებოდა.

ალ. ყაზბეგი.

—

«იქიდანვე. თუ ღმერთი გწამთ, ჩემს «არკადიას» ნუ აწყენინებთ, თორემ საბაკა სამსონა ისევ მანდ არის და ის ამოიყრის ჩემ მაგივრად ჯავრსა.

ნ. ბალუსტოვი.

არტისტთა ამხანაგობის პირველ წარმოდგენაზე (22 თებერვალს, პიესა «დალატი»). სხვათა შორის, ბ-ნი რეცენზენტი ბრძანებს: «წარმოდგენის გამგე იძულებული იყო, მაგ., კოტე ყიფიანისათვის, რომელიც ანანიას როლს საუცხოოდ თამაშობს, სოლეიმანის როლი მიეცა, იმიტომ, რომ ვლადიმერ მესხიშვილი არ ერია ამხანაგობაშიო». ვალად ვრაცხ ვაუწყო მკითხველ საზოგადოებას, რომ პირადად მე ამაში არავითარი ბრალი არ მიდევს, რადგანაც ბ-ნ გამგეს მესხიშვილი არც-კი მოჰგონებია და, უბრალო ზრდილობისათვის მაინც, არც-კი უკითხავს ჩემთვის,—მსურს თუ არა ჩავერიო დაარსებულ ამხანაგობაში.

მაგრამ მე ეს არ მაკვირვებს, რადგანაც ბ-ნ გამგეს შორს-მჭვრეტელობა კარგად ვიცი. მან, დარწმუნებული ვარ, იფიქრა: «მესხიშვილს უელი სტკივა და, რა თქმა უნდა, კუჭიც ეტკიება; ამიტომ, რაც უფრო ნაკლებს სჭამს ამ დიდ მარხვაში, მით უკეთესიო».

ტყუილად-კი არ არის ნათქვამი «მაძღარს მშიერისა არა გაეგება-რაო». ოღონდაც, ბ-ნო გამგე, თქვენ მაძღარი ბრძანდებით, რადგანაც სეზონის ბოლომდე სავსებით მიიღეთ თქვენი ხვედრი შრომის ფასი და მესხიშვილმა და მისმა ამხანაგებმა, ქუთაისის არტისტებმა-კი, უკანასკნელი თავისი ჯამაგირებიც ვერ მიიღეს დრამატიულ საზოგადოებისაგან და არც იმედი გვაქვს მიღებისა.

მაგრამ ეს არაფერია: ჩვენ ამასაც მოვიწველებთ და დიდის მოწიწებით ერთხელ კიდევ გამოვუცხადებთ «ჩვენს სრულს ნდობას».

მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

II.

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო ბ-ნ იოსებ რ. დღეკავს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულ სკოლის შეგირდებს მის მიერ გამოცემული წიგნაკები დასარიგებლად: 30 ცალი «ლოცვანი», 30—«იოაკიმ და ანნა», 30—«ტაძრად მიყვანება» და 2 ცალი «ბრძოლა თავის თავთან», ღირებული სულ 5 მანეთად.

კახურის სამრევლო სკოლის მასწავლებელი იასონ ხომერიკი.

## „ივერიის" ფოსტა

**შავშელი.** თქვენ მიერ გამოგზავნილი ნეკროლოგი არ დაიბეჭდება. ნუ დაგვივიწყებთ.

**ვ. რ—ძეს.** ერთი თქვენი ლექსი „შურდულის რედაქციას გადავეცით, მეორეს ჩვენ დავბეჭდავთ.

**ვანო კახარიაშვილს.** გამოგზავნეთ ფოსტის ხარჯად ორი მანეთი და გაზეთი მოგივა.თ.

**ჯაჯუსა ნაროუჩას.** თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 თებერვალი.

**პეტერბურგი.** დეპეშა მეფის მოადგილის გენერალ-ადიუტანტის ალექსეევისა მისის უდიდებულესობის სახელზედ, 27 თებერვალს გამოგზავნილი მუკდენიდან: „ფლოტის უფროსმა ვიცე-ადმირალმა მაკაროვმა 26 თებერვალს პორტ-არტურიდგან შემდეგი მოხსენება გამოჰგზავნა: 26 თებერვალს, ღამით, ექვსი ნაღმოსანი გავიდა ზღვაში, ოთხი იმათგანი 1 ხარისხის კაპიტანის მატუსევიჩის უფროსობით, და მტრის ნაღმოსნებს შეხვდნენ, რომლებსაც კრეისერები მოსდევდა. ცხარე შებრძოლება მოუხდათ. ამ დროს ნაღმოსანმა «ვლასტნი»-მ, რომელსაც ლეიტენანტი კორცევი უფროსობდა, უაიტხერის ნაღმით, მტრის ნაღმოსანი დაჰლუპა. დაბრუნების დროს, ნაღმოსანი «სტერეგუშჩი», ლეიტენანტ სერგეევის უფროსობით, გასტეხეს, მანქანა წაუხდა და დაიღუპა წყალში. რვა საათზედ, დილით, ხუთი ნაღმოსანი დაბრუნდა. როცა გამოირკვა გაჭირვებული მდგომარეობა «სტერეგუშჩისა», მე დროშა «ნოვიკზე» ავაფრიალე და «ნოვიკითა» და «ბაიანით» საშველად გაველი, მაგრამ ნაღმოსანთან ახლო მტრის ხუთი კრეისერი იყო და ჯავშნიანი ესკადრა უახლოვდებოდა. გადარჩენა ვერ შევიძელით; ნაღმოსანი ჩასძირა. ვინც გადარჩა, ტყვედ წაიყვანეს. იმ გემებზე, რომელთაც ღამის თავდასხმაში მონაწილეობა მიიღეს, მძიმედ დაიჭრა ერთი აფიცერი და სამი მსუბუქად. ორი ჯარის-კაცია მოკლული, 18 დაიჭრა. 9 საათზე მტრის 14 გემი შეიყარა ď პორტ-არტურს ჯავშნიან გემების დიდი ზარბაზნებიდან, კარგა დიდის მანძილიდან, დაუწყეს ყუმბარების სროლა. სროლამ ორ საათს გასტანა. ანგარიშით, მტერმა გამოისროლა 154 თორმეტ-დიუიმიანი ყუმბარა. გემებს მცირე ზიანი მოუვიდათ და მზად არიან საბრძოლველად. ზარალი: მსუბუქად დაიჭრა ერთი აფიცერი, ერთი ჯარის კაცია მოკლული, 4 მსუბუქად დაიჭრა. ღამით ისე კარგად ანათებდნენ ჩვენი ბაატარეებიდან, რომ მტრის ნაღმოსნებს უკან ახევინებდნენ ჩვენის ბატარეის ყუმბარებით. დილით, სროლის დაწყებისათანავე, ციხის ზარბაზნებმა მტერს პასუხი გასცა. ყველა გემებზე ჯარის კაცნი გასაოცარ მხნეობას და აუღელვებლობას იჩენდნენ; თუმცა ყუმბარები გემების ბანზე და დაბლაც ცვიოდა, ზედ აყრიდა ნამსხვრევებს, მაგრამ მაინც მუშაობა არ შეუწყვეტნიათ. იმ სიშორიდგან სროლა უნდა უნაყოფოდ ჩაითვალოს. მოგვხსენდა, რომ კრეისერი „ტაიკასაო" ძალიან დაზიანდაო, მაგრამ სიშორისა გამო კარგად ვერ გავარჩიეთ. ზოგიერთს ყუმბარებს თორმეტი ვერსის მანძილიდან ისროდნენ. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას».—დასამტკიცებლად 27 თებერვლის დეპეშისა, უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას, რომ, როგორც პორტ-არტურიდგან შემატყობინეს, ნაღმიანი გემების ბრძოლის დროს იაპონიის კრეისერებთან, 26 თებერვალს, დაიჭრნენ 1 ხარისხის კაპიტანი მატუსევიჩი, მიჩმანი ალექსანდროვი, ინჟინერ-მექანიკოსი ბლინოვი კი მსუბუქადაა დაჭრილი, მძიმედ დაიჭრა თავში და მარცხენა თვალი გამოეთხარა მიჩმანს ზაევსა.

დეპეშა მეფის მოადგილისა მის უდიდებულესობის სახელზე, 27 თებერვალს მუკდენიდან გამოგზავნილი: «პორტ-არტურის კომენდანტი დაწვრილებით იუწყება 26 თებერვალს მომხდარ ბრძოლის შესახებ: როდესაც მტერმა სროლა დაიწყო, ჩვენმა ბატარეებმა პასუხი გასცეს. ექვსმა გემმა მტრისამ ლიაოტეშნის მხრიდგან ციხეს დაუწყო სროლა. სროლა გათავდა პირველ საათსა და 15 წუთზე, დღისით. მტერმა ორას ყუმბარამდე გამოისროლა. ერთმა ყუმბარამ, მე № 15 ბატარეის გასროლილმა, ძალიან დააზიანა იაპონიის კრეისერი. სროლას დიდი ზიანი არ მოუცია. დაიჭრა ექვსი ჯარის-კაცი. ქალაქში სამი მცხოვრებია მოკლული და ერთი მსუბუქად დაიჭრა. როგორც გენერალ-ლეიტენანტი სტესსელი იუწყება, ნაპირის ბატარეების აფიცრებმა და ჯარის-კაცებმა სამაგალითო მამაცობა გამოიჩინეს და საუცხოვოდ ესროდნენ. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენ უდიდებულესობას.

28 თებერვალი.

**ტოკიო.** ხელი მოაწერეს კონცესიას, რომელიც შეეხება რკინის გზის გაყვანას სეულიდან ი-ჩჟოუმდე.

**ვაშინგტონი.** პრეზიდენტმა რუზველტმა გამოსცა განკარგულება, რომ ყველამ, ვინც-კი სახელმწიფო სამსახურშია, უნდა შეასრულოს არამც თუ ჩემის პროკლამაციის მოთხოვნილება ნეიტრალიტეტის შესახებ, არამედ უნდა თავი დაიკავოს და არც სიტყვით, არც საქმით ისეთი რამ არ იკადროს, რამაც შეიძლება აღელვოს ან შეურაცხ-ჰყოს ერთ-ერთი მებრძოლთაგანი სახელმწიფო.

**სტამბოლი.** სალონიკის ვილაიეტიდგან იუწყებიან, რომ გამოჩნდნენ ჯგუფნი მეამბოხეთა რამდენსამე ოლქში. ფილიპპოპოლის ოლქში 2,600 მეამბოხეა.

**კიშინიოვი.** ორ-კვირას მოუნდა პალატა საქმის გარჩევას და დღეს გამოაცხადა რეზოლიუცია რუსნაკისა და 56 კიდევ სხვათა საქმისა, რომელთა შორისაც 18 ს ჰბრალდებოდა კაცის-კვლა და ებრაელთ დარბევა, ხოლო დანარჩენთ—უწესოების ჩადენა. რუსნაკი და ბორდიანი დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი ებრაელ ცოლ-ქმართ ფონარაუკთა მოკვლაში და მიესაჯათ კატორღა პირველს ოთხის წლით, ხოლო მეორეს ერთის წლითა ď 8 თვით; 15 ბრალდებულს უწესოებისათვის მიესაჯა პატიმართა როტები ერთი წლით თითოეულს; სამს გადაუწყვიტეს ციხე ოთხის თვით და 36 გამართლებულ იქმნენ. ორი სამოქალაქო საჩივარი განუხილველად იქმნა დატოვებული და 64 საჩივარი დაუკმაყოფილებელი. საჩივრები შეტანილი იყო განსაკუთრებით ებრაელთაგან.

**პარიჟი.** ჩემულპოში პოლიციამ შეიპყრო ცოლის ძმა კორეის მემკვიდრე პრინცისა იმ დროს, როცა გემში ჯდებოდა და შანხაის უნდოდა წასვლა. უპოვეს საყურადღებო საბუთები. ჰფიქრობენ, რომ კორეის მთავრობას განზრახვა ჰქონდა და მოლაპარაკება დაეწყო რუსეთთან.

**ტოკიო.** («რეიტ. სააგენტო»). მთლად რუსეთის ჯარები გაემართნენ ი-ჩჟოუსკენ და დიდი თხრილი ამოიღეს იქ. ეს თხრილი იქმნება ნაწილი საერთო საგერის სიმაგრეებისა იმ სიმაგრეებთან ერთად, რომელიც ააგეს რუსებმა იალუს მარცხენა ნაპირას.

**სეული.** იაპონიის საპიორები აკეთებენ ყველგან იმ უვარგისს გზებს, რომელიც ჩრდილოეთისაკენ მიდის. იალუდან სამხრეთად სდგას რაზმი რუსეთის ცხენოსანის ჯარისა, ასე 3,600 კაცი. აქვთ ორი ბატარეა ოთხ-ოთხის ზარბაზნით. ცხადია, რომ ეს რაზმი მხოლოდ საზვერავად არის დანიშნული.

**ბერლინი.** ნაწილი მეორე ქვეითის ჯარის კორპუსისა ამ ჟამად გზაშია და მიდის კორეიას.

**პარიჟი.** იაპონიის საზღვაო აგენტმა განმარტა ყოველივე იმ წერილების გამო, რომელიც კანცელარიის მწერლისაგან მიუვიდა, ზღვათა სამინისტროში დაპატიმრებულისაგან, აგრეთვე გამოაცხადა შინაარსი თავისი პასუხისა. დაპატიმრებული უარ-ყოფს, არავითარი ბრალი არა მაქვს და მსხვერპლი ვარ ინტრიგისაო.

**სტამბოლი.** პორტა, როგორც ეტყობა, უფრო კარგს გუნებაზეა და შეიწყნარებს პირობით-შეკრულ დიდ სახელმწიფოთა მოთხოვნილებას და მაკედონიის ჟანდარმერიის რეფორმების პროგრამას.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატამ შეიწყნარა კანონ-პროექტი, ახლად ჯარში გაყვანილთა შესახებ.

**შანჰაი.** («რეიტერის სააგენტო»). რუსეთის ჯარები, რომელიც კორეიაში იმყოფებიან, ჩრდილოეთად მიდიან და ჰფიქრობენ ი-ჩჟოუ საგერ ბაზად გადააქციონ.

**ვლადივოსტოკი.** რაკი კერძო საქონლის გადაზიდვა მოისპო რკინის გზით, ახლა დაიწყეს ურმებით ზიდვა საქონლისა უსურიის ნიკოლსკამდე, ფუთისა 50 კაპ.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგენტო»). ოფიციალურს გაზეთში სეულს დაბეჭდილია ტექსტი განაჩენისა, რომელიც დასდეს იაპონიამა და კორეიამ. ამ განაჩენით, კორეია აცხადებს, რომ გაუქმებულია ის კონცესიები, რომელიც მიეცა რუსეთსაო; მათ შორის ის კონცესიაც, რომლის ძალითაც კორეიას უფლება არ ჰქონდა გაეყიდნა ან გაეცა კუნძული კუინდო, აგრეთვე ის კონცესიაც, რომელიც შეეხებოდა ქვა-ნახშირის წარმოებას ვარდის კუნძულზედ და ბოლოს ხე-ტყის კონცესიებიც დაჟელეტის კუნძულზედ ď ტუმენისა, ულასა და იალუს ხეობაში.

**ბერლინი.** იმპერატორი ვილჰელმი გაემართა ბრემენგაფენს, საიდანაც შეუდგება გზავრობას ხმელთა შუა ზღვაზედ.

**ვენა.** «პოლ ტიშე კორესპონდენცს» აუწყებენ სტამბოლიდგან, რომ მორიგება ოსმალეთსა და ბოლგარიას შორის კეთილად დაბოლოვდაო. ეგ მორიგება შეეხება, სხვათა შორის, იმ საგანს, თუ როგორ უნდა იყოს განაწილება ეროვნებათა შორის. ბოლგარიამ იკისრა განსაკუთრებულის სასტიკობით წინააღუდგეს კომიტეტების სარევოლიუციო მოქმედებას და დააბრკოლოს შეტანა ოსმალეთში ასაფეთქებელ მასალისა.

**ვლადივოსტოკი.** კერძო კაცთა თაოსნობით მოეწყო ახალი სახე ნებაყოფლობითის შემწეობისა მკვიდრთაგან: სწირავენ მიწით სავსე ტომრებს სიმაგრეთა და სანგართა ასაგებად.

**პორტ-არტური.** 26 თებერვალს, დილით, ექვსის ნახევარ საათზე იაპონელთა 14 გემმა ლიაოტეშნის მხრიდან დაუწყო ჩვენს საყარაულო ნაღმოსნებს ყუმბარების სროლა, ხოლო ცხრის ნახევარზე ციხეს დაუწყო სროლა. ბატარეებმა ენერგიული პასუხი გასცეს. იაპონელთა ექვსი გემი ლიაოტეშანისკენ წავიდა და იქიდან დაუწყო ციხეს სროლა. ერთი ყუმბარა გასკდა ასე რვა საჟენზე კერძო ვექილის სიდოროვსკის სახლიდგან; ნამსხვრევმა მოჰკლა მეუღლე სამხედრო გამომძიებლის პოდპოლკოვნიკის ბარონ ფრანკისა და აგრეთვე იქვე ოთახში მყოფი სიდორსკი; მოკლულ იქმნა ქალბატონი ვალერიჩი, რომელიც გულში დაიჭრა, მოიყვანეს საავადმყოფოში და იქ გარდაიცვალა. ამას გარდა მოკლულ იქმნა ჩინელი, მძიმედ დაიჭრა მეეტლე (კუჩერი) დემინი და რამდენიმე ჩინელი; გაიკენწლა «ოქროს მთაზე» მყოფი ლეიტენანტი ვახტინი; ორი ჯარის-კაცია დაჭრილი; ბატარეიაზე დაიჭრა ერთი ჯარის-კაცი, აგრეთვე ელექტრონულ კლდეზე და ახალს ქალაქში ორი მსროლელი ჯარის-კაცი დაიჭრა. ერთმა ყუმბარამ იაპონელთა ჯავშნიანი გემი დააზიანა; სჩანდა, რომ ის ნელ-ნელა დაიძრა და მძლავრად უშვებდა ორთქლსა. მტერმა ორასამდე თორმეტ დუიმიანი ყუმბარა გამოისროლა. 12 საათსა და 45 წუთზე სროლა გათავდა და მტრის ესკადრა წავიდა. დღეს სიწყნარეა.

დროებითი რედაქტორი გრ. ყიფშიძე.
გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.

## პეტერბურგის ბირჟა

27 თებერვალი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირ. სტ. | 93,85 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,90 |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,70 |
| ბერლინში „ | 46,27½ |
| პარიჟში „ | 37,62½ |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 93⅛ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 90½ ნ-ს. გ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 354 წვრ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 311 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 250½ წვრ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

## რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 1) შუადღის ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

**ყარს-ერევანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2 საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ

გ) ბაქოდან:

**ტფილის-ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურ ას

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

# ქაჯანა

2.

# ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასად დებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

# ჩაი

## მხ ნაგობა ჩაის ვაჭრობისა

## ვ. ვისოცკი და კო

მ ო ს კ ო ვ ს.

ტფილისის განყოფილება

მეიდანი, რკინეულობის ბაზარი, ტელეფონი № 432.

მირის თანხა **6.000.000** მანეთი.




წლიური აღებ-მიცემობა **20.000.000** მანეთზედ მეტი.

ჩაის მაღალის თვისებების წყალობით და მეტადრე ძლიერის სურნელებისა, ნაზის გემოვნებისა და მუქის ფერის გამო, ჩვენმა ფირმამ დაიჭირა პირველი ადგილი ევროპაში წვრილად გაყიდულ ჩაის რაოდენობით.

ჩვენს ქარხნებში, რომელიც მოსკოვსა და ოდესაშია, საცა იწონება ჩაი და იხვევა პარკებად, მუშაობს 1,500 კაცზედ მეტი.

**ჩვენი ჩაი იყიდება რუსეთის იმპერიისა და საზღვარ-გარეთის ყველა საუკეთესო მაღაზიაში.**

ჩვენის ფირმის ჩაის ყიდვის დროს ვთხოვთ ბ-ნთ მყიდველთ მიაქციონ ყურადღება სწორედ ჩვენი სავაჭრო მარკა—**ხომალდია**,—მთავრობისაგან დამტკიცებული, ზედ დახატული, თუ არა და მოითხოვონ **ჩაი ვისოცკისა ხომალდით.**

გამგეობა ამხანაგობისა მოსკოვშია.

**განყოფილებანი:**

ოდესას, ვარშავას, როსტოვს-დონ., ეკატერინბურგს, ხარკოვს, ტფილისს, რიგას, ვილნოს და სიმფეროპოლში. აგრეთვე ნიჟეგოროდისა და ირბიტის ბაზრობაზედ.

ადრესი ამხანაგობისა მოსკოვსა და განყოფილებათათვის: „Товарищество чайной торговли В. Высоцкій и К-о".

დეპეშებისათვის: „Корабликъ".

**ჩაი თ ა ვ რ ო ბ ლ ზ ს**